



# არის თუ არა პოპულიზმი ევროსკეპტიკური საქართველოში?

გივი სილაგაძე<sup>1</sup>

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პოპულიზმის მომძლავრებას სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოში თან ახლავს [ევროსკეპტიკური განწყობების ზრდა](#). პოპულიზმისა და ევროსკეპტიციზმის ტანდემი, როგორც მას ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს, <sup>2</sup> წინააღმდეგობაშია ლიბერალურ-დემოკრატიულ ნორმებთან და შესაძლოა, პოლიტიკურ სისტემაში პარტიული კონკურენციის დინამიკის ცვლილებაც გამოიწვიოს, განსაკუთრებით ევროკავშირთან მიმართებაში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება კონსტიტუციით არის გამყარებული, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის ქართული პოპულიზმი დაკავშირებული ევროსკეპტიციზმთან.

წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი მიზნად ისახავს პოპულიზმისა და ევროსკეპტიციზმის თანაკვეთის განსაზღვრას თანამედროვე საქართველოში. კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოპულიზმი საქართველოში სრულად ევროსკეპტიკური არ არის. თუმცა, მემარჯვენე პოპულიზმი და ევროსკეპტიკური განწყობები, როგორც ჩანს, მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მართლაც, პოპულიზმისა და მემარჯვენე ნაციონალიზმის კომბინაციას, როგორც წესი, თან ევროსკეპტიციზმიც ახლავს.

## ევროსკეპტიციზმის ცნება საქართველოს კონტექსტში

ხშირად საკმაოდ ბუნდოვანი მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი ევროსკეპტიციზმი, რომელიც ევროპული ინტეგრაციის გარკვეული ასპექტების მიმართ წინააღმდეგობას აღნიშნავს. საქართველოში ევროსკეპტიკურად განწყობილი აქტორების იდენტიფიცირებისთვის ევროსკეპტიციზმის უფრო ნათლად განსაზღვრა არის საჭირო. ამ

<sup>1</sup> გივი სილაგაძე არის პოლიტიკის უმცროსი ანალიტიკოსი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში (GIP).

<sup>2</sup> Kneuer, M. 2017. "The tandem of populism and Euroscepticism: a comparative perspective in the light of the European crises". *Contemporary Social Science*. 14(1): 26-42

ცნების გამოყენება ორ დონეზეა შესაძლებელი: (1) ევროსკეპტიციზმი, რომელიც გამოხატულია მასების დონეზე; და (2) ევროსკეპტიკური განწყობები აქტორების დონეზე. პირველ შემთხვევაში, ევროსკეპტიციზმი ყველაზე ნათლად გამოხატულია საზოგადოების მხრიდან ევროკავშირის წევრობის მიმართ წინააღმდეგობაში.<sup>3</sup>

თუმცა, გაცილებით პრობლემურია იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა აქტორებში გავრცელებული ევროსკეპტიციზმი. აკადემიურ წრეებში დღემდე მიმდინარეობს დავა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ევროსკეპტიციზმი ან შეიქმნას მისი ტიპოლოგია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, გამოვყოთ ტაგარტისა და სერბიაკის მიერ შემუშავებული ტიპოლოგია, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ევროსკეპტიციზმის მკვლევარებს შორის<sup>4</sup>. ტაგარტისა და სერბიაკის ტიპოლოგია ერთმანეთისგან განასხვავებს ევროსკეპტიციზმის რბილ და ხისტ ვარიანტებს.<sup>5</sup> რბილი ევროსკეპტიციზმი სრულად არ უარყოფს ევროპულ ინტეგრაციას და გულისხმობს პირობით ან სიტუაციურ წინააღმდეგობას ინტეგრაციის მიმართ. ხოლო, ხისტი ევროსკეპტიციზმი ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას მთლიანად უარყოფს და საკუთარი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების ან წევრად დარჩენის წინააღმდეგია.

თუ ტაგარტისა და სერბიაკის მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიას ქართულ კონტექსტს მოვარგებთ, შესაძლებელია ითქვას, რომ აქტორი ხისტი ევროსკეპტიკოსია, თუ ის ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტს სრულად უარყოფს და ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. მეორე მხრივ, აქტორს შესაძლოა, რბილი ევროსკეპტიკოსი ეწოდოს, თუ ის ევროპულ ინტეგრაციას ან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ღიად და პრინციპის დონეზე არ ეწინააღმდეგება, მაგრამ პრობლემურად მიაჩნია ერთი (ან რამდენიმე) პოლიტიკის მიმართულება და შესაბამისად, წინააღმდეგობას გამოხატავს ევროკავშირის მიმართ. შესაძლოა, რბილი ევროსკეპტიკოსი იყოს აქტორი, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესი ამ ეტაპზე არ არის თანხვედრაში ევროკავშირში ინტეგრაციასთან.

<sup>3</sup> ეს მასებში არსებული ევროსკეპტიციზმის ერთგანზომილებიანი კონცეპტუალიზაციაა. თუმცა, ფენომენის განსაზღვრა უფრო კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი მიდგომიდათაც შეიძლება. (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Lubbers, M., and Scheepers, P. 2010. "Divergent trends of Euroscepticism in countries and regions of the European Union". *European Journal of Political Research*. 49(6): 787-817)

<sup>4</sup> ტაგარტისა და სერბიაკის ტიპოლოგიის ყველაზე გავლენიანი ალტერნატივა კოპეცკისა და მადის ტიპოლოგიაა, რომელიც ევროპული ინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულების ოთხ ტიპს გულისხმობს: ევროენტუზიასტი, ევროპრაგმატიკოსი, ევროსკეპტიკოსი და ევრორეჯექტი. (Kopecký, P., and Mudde, C. 2002. "The two sides of Euroscepticism: Party positions on European integration in East-Central Europe". *European Union Politics*. 3(3): 297-326)

<sup>5</sup> Taggart, P., and Szczerbiak, A. 2004. "Contemporary Euroscepticism in the party systems of the European Union candidate states of Central and Eastern Europe". *European Journal of Political Research*. 43(1): 1-27.

## პოპულიზმისა და ევროსკეპტიციზმის ტანდემი საქართველოში?

საქართველოში პოპულიზმისა და ევროსკეპტიციზმის ურთიერთკავშირის შესწავლამდე, აუცილებელია შესაბამისი პოპულისტი აქტორების იდენტიფიცირება. საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ოთხი ძირითადი პოპულისტი აქტორის იდენტიფიცირება არის შესაძლებელი.<sup>6</sup> ორი მათგანი პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს - საქართველოს ლეიბორისტული პარტია და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. დანარჩენი ორი კი, საზოგადოებრივ დონეზე ოპერირებს. ესენია, ქართული მარში - ულტრანაციონალისტური საზოგადოებრივი მოძრაობა და ლევან ვასაძე - ბიზნესმენი, რომელსაც არაერთი მხარდამჭერი ჰყავს და რომელიც ხშირად ჩნდება ქუჩის დემონსტრაციებზე.<sup>7</sup> ორივე აქტორი ეთნო-რელიგიურ საკითხებზე აკეთებს აქცენტს და რეგულარულად ახდენს ხალხის მობილიზებას.<sup>8</sup>

- *მემარცხენე პოპულიზმი და ევროსკეპტიციზმი*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მემარცხენე პოპულისტური ლეიბორისტული პარტია საკუთარ პროგრამაში დიდ ადგილს არ უთმობს ევროპის საკითხს. მათი 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამა პირდაპირ არ ეხმიანება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხს. რაც შეეხება პარტიის 2018 წლის წინასაარჩევნო პროგრამას, ევროკავშირში ინტეგრაციას მხოლოდ ერთი პუნქტი ეხება, სადაც აღნიშნულია, რომ „შესრულდება ევროკავშირში გასაწევრიანებელად საჭირო აუცილებელი მოთხოვნები“<sup>9</sup>.

ლეიბორისტული პარტიის პროგრამაში ევროპა წარმოჩენილია, როგორც კარგი მმართველობის სტანდარტი. კონკრეტულად კი, 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამა იწყება შემდეგი წინადადებით: „ოლიგარქიული წყობილებიდან ეროვნულ, ევროპულ-დემოკრატიულ სოციალიზმამდე“. პარტია მიზნად ისახავს საბანკო პროცენტისთვის 7%-იანი ზედა ზღვარის დაწესებას, რაც მოხსენიებულია, როგორც „ევროპული ოდენობა“. ამასთან, 2018 წლის პროგრამაში პარტია ითხოვს „ევროპული სტანდარტის“ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას გარემოს დაბინძურებისა და შრომითი ურთიერთობების უკეთ დასარეგულირებლად. ეს შესაძლოა იმაზე მიანიშნებდეს, რომ პარტია „ევროპას“ საკუთარი მემარცხენე პოლიტიკის ლეგიტიმაციის ასამაღლებლად იყენებს.

<sup>6</sup> სილაგაძე, გ. 2020. “ვინ (არ) არის პოპულისტი საქართველოში? ფართოდ გავრცელებულ ტერმინში გარკვევა”. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/who-is-not-populist-in-georgia-making-sense-of-the-buzzword/> ნანახია: 7 მაისი, 2020.

<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სია ამომწურავი არ იყოს, მოიცავს იმ პოპულისტ აქტორებს, რომლებიც აქტიურად ჩანან ქართულ პოლიტიკურ დისკურსში და შესაბამისად, რელევანტურია წინამდებარე ნარკვევისთვის.

<sup>8</sup> JAM-News. 2018. “The Georgian March against migrants and NATO”. ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/the-georgian-march-against-migrants-and-nato/> ნანახია: 10 მაისი, 2020

<sup>9</sup> 2016 წლის პროგრამა მოთხოვნის შემდეგ ავტორს პარტიის წარმომადგენელმა მიაწოდა. 2018 წლის პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია პარტიის ოფიციალურ ვებ გვერდზე: <https://www.labour.ge/ka/chvens-shesakheb/programa/article/13353-shalva-nathelashvilis-saprezidento-saarchevno-programis-dzirithadi-mimarthulebebi> ნანახია: 7 მაისი, 2020.

პარტიის გაცხადებული პოზიცია ევროპულ ინტეგრაციას ემხრობა. თუმცა, იმის დასადგენად არის თუ არა ლეიბორისტული პარტია ევროსკეპტიკურად განწყობილი, მხოლოდ პარტიის პროგრამის განხილვა საკმარისი არ არის და შესაძლოა მცდარიც კი იყოს, რადგან უფრო ფართო პოლიტიკურ დისკურსში პარტიის პოზიციონირება შესაძლოა აცდენილი იყოს მის გაცხადებულ პოზიციას.

პარტიის პროგრამისგან განსხვავებით, პარტიის ლიდერების მხრიდან გაკეთებული საჯარო განცხადებები ევროკავშირის, ისევე როგორც ევროპული ქვეყნების მიმართ კრიტიკას შეიცავს. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა ევროკავშირისა და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს მიმართ გულისხმობს მათი მხრიდან არასაკმარის კრიტიკას და ზედმეტად ლმობიერ დამოკიდებულებას საქართველოს მმართველი პარტიის მიმართ. მაგალითად, საკუთარი ტერიტორიიდან საქართველოს მოქალაქეების გამეგების შესახებ გერმანიის გადაწყვეტილების შეფასებისას, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ - შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა, რომ ქართველების გამოძევების ნაცვლად, გერმანიამ მილიარდელისა და ქართული ოცნების თავმჯდომარის - ბიძინა ივანიშვილის აქციები უნდა „დაბლოკოს“<sup>10</sup>. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი წარსულშიც აკრიტიკებდა ევროკავშირის ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მფარველობისთვის<sup>11</sup>.

ევროკავშირის მიმართ ლეიბორისტული პარტიის კრიტიკა ვერ ჩაითვლება ევროსკეპტიციზმად, რადგან ეს არ წარმოადგენს არც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სრულ უარყოფას და არც ევროკავშირის გარკვეული პოლიტიკის მიმართულებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. ამასთან, ლეიბორისტული პარტიის კრიტიკა არ მოიაზრებს იმას, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესი ამ ეტაპზე ევროკავშირში ინტეგრაციასთან თავსებადი არ არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლეიბორისტული პარტიის, ისევე როგორც ზოგადად, საქართველოში პოლიტიკური პარტიების კვლევის ნებისმიერი მცდელობა ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას აწყდება: რამდენად არიან პარტიები თვითმყოფადი პოლიტიკური ორგანიზაციები და რამდენად შეუძლიათ მათ კონკრეტული ლიდერების გარეშე არსებობა?

---

<sup>10</sup> საქართველოს ლეიბორისტული პარტია. თარიღის გარეშე. შალვა ნათელაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://www.labour.ge/ka/akhali-ambebi/article/13459--am-gatcirvebuli-khalkhis-gamodzevevas-germaniam-iqneb-mathi-samshoblodan-gamdzevebel-mathive-anu-evrokavshiris-mogalage-bidzina-ivanishvilis-mier-chvengan-arthmeuli-miliardiani-aqciebi-dablokos-thavis-ekonomikashi-shalva-nathelashvili> ნანახია: 7 მაისი, 2020.

შალვა ნათელაშვილის სხვა მსგავსი განცხადებებისთვის, იხილეთ: [https://www.youtube.com/watch?v=1gizD6IDxA4&itct=CAoQpDAYBSITCO33iq\\_-ldMCFQvnTgodXPcCBDIHcmVsYXRIZEie\\_snLi67B\\_1g%3D&gl=US&hl=en&client=mv-google&app=desktop](https://www.youtube.com/watch?v=1gizD6IDxA4&itct=CAoQpDAYBSITCO33iq_-ldMCFQvnTgodXPcCBDIHcmVsYXRIZEie_snLi67B_1g%3D&gl=US&hl=en&client=mv-google&app=desktop) ნანახია: 7 მაისი, 2020.

და <https://www.labour.ge/ka/akhali-ambebi/article/13972--movutsodeb-safrangethis-mthavrobas-shvideulis-samitze-pirvel-sakithkhad-daayenos-saqarthvelos-deokupaciis-problema-> ნანახია: 7 მაისი, 2020.

<sup>11</sup> Coene, F. 2016. *Euro-Atlantic Discourse in Georgia: The Making of Georgian Foreign and Domestic Policy After the Rose Revolution*. Burlington, VT: Routledge (p.52-53)

✓ *ნაციონალისტური პოპულიზმი და ევროსკეპტიციზმი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი*

2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში პატრიოტთა ალიანსმა - მემარჯვენე პოპულისტურმა პარტიამ, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი - ცალკე სექცია დაუთმო საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას.<sup>12</sup> პარტია ფორმალურად მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. თუმცა, სექციის ძირითადი ნაწილი საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ეთმობა და ხაზს უსვამს იმას, რომ ამგვარი სცენარი ნაკლებად სავარაუდოა ზოგიერთი წევრი ქვეყნის სკეპტიკური დამოკიდებულების გამო. პროგრამაში აღნიშნულია, რომ პარტია პრაქტიკულ პრიორიტეტად ევროკავშირში გაწევრიანებას მიიჩნევს.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან ერთად, პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველომ „ბრიუსელისგან უნდა მოითხოვოს კვოტა“ თურქმენული გაზისთვის, რომელიც ევროპას საქართველოს გავლით უნდა მიეწოდოს. მოთხოვნა გამყარებულია მოსაზრებით, რომ საქართველო „იმსახურებს“ ამ კვოტას, ვინაიდან ის დასავლურ კურსს „უანგაროდ“ მიჰყვება, რისთვისაც ქვეყანამ მნიშვნელოვანი ფასი გადაიხადა, მათ შორის ომი.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 2016 წლის პროგრამის მიხედვით ევროსკეპტიკურ ძალად ვერ განიხილება, რადგან პარტია ევროკავშირის წევრობას საკუთარ პრიორიტეტად მოიაზრებს. თუმცა, პარტია აცხადებს, რომ საქართველოს „უანგაროდ“ სწრაფვა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, რომელიც ქვეყანას ძვირი დაუჯდა, ევროკავშირის მხრიდან შესაბამისად უნდა იქნას დაფასებული. ამასთან, პარტიის ლიდერების განცხადებები შესაძლოა პროგრამაში გაცხადებული პოზიციისგან განსხვავდებოდეს. მართლაც, პარტიის ლიდერები საჯარო გამოსვლებში ევროკავშირს აკრიტიკებენ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ქვეყნის დასავლურ ვექტორს. მაგალითად, ირმა ინაშვილმა - პარტიის გენერალურმა მდივანმა - ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებაში ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა.<sup>13</sup> ამასთან, ადა მარშანია - პარლამენტის წევრი პატრიოტთა ალიანსიდან - ყურადღებას ამახვილებს იმ ფასზე, რომელსაც საქართველო ევროკავშირისკენ სწრაფვისთვის იხდის.<sup>14</sup> დავით თარხან-მოურავმა, პატრიოტთა ალიანსის კიდევ ერთმა ლიდერმა, ევროკავშირის საქართველოსადმი მიდოგმის შეფასებისას განაცხადა, რომ ეს არის „მორიგი ღალატი ევროკავშირის მხრიდან“.<sup>15</sup>

პატრიოტთა ალიანსის ლიდერების კრიტიკა ვერ შეფასდება, როგორც ხისტი ევროსკეპტიციზმი - ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის სრული უარყოფა. თუმცა, ის შეიძლება დახასიათდეს, როგორც რბილი ევროსკეპტიციზმი, რადგან პარტიის ლიდერები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ და აკრიტიკებენ ევროკავშირის

<sup>12</sup> 2016 წლის პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია პარტიის ოფიციალურ ვებ გვერდზე: [www.patriots.ge](http://www.patriots.ge) ნანახია: 1 მაისი, 2020.

<sup>13</sup> ირმა ინაშვილი ტელეკომპანია ობიექტივის ეთერში 2017 წლის 20 დეკემბერს. ხელმისაწვდომია: <https://www.myvideo.ge/v/3475671> ნანახია: 7 მაისი, 2020

<sup>14</sup> ადა მარშანია ტელეკომპანია ობიექტივის ეთერში 2018 წლის 26 მარტს. ხელმისაწვდომია: <https://www.myvideo.ge/v/3556809> ნანახია: 7 მაისი, 2020.


<sup>15</sup> დავით თარხან-მოურავი ტელეკომპანია ობიექტივის ეთერში 2017 წლის 27 დეკემბერს. ხელმისაწვდომია: <https://www.myvideo.ge/v/3482573> ნანახია: 7 მაისი, 2020.

მიდგომებს საქართველოს მიმართ და ყურადღებას ამახვილებენ იმ ფასზე, რასაც საქართველო ევროპული მისწრაფებებისთვის იხდის, რაც მათი თქმით თანხვედრაში არ მოდის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ნატოზე უფრო მეტად არის ფოკუსირებული, ვიდრე ევროკავშირზე და მათი სკეპტიციზმი ნატოსთან მიმართებით უფრო მეტად არის გამოხატული.

✓ *პოპულისტი vs. სხვა პოლიტიკური პარტიები*

ზემოთ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის არასისტემური ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული უფრო ფართო პოლიტიკური კონტექსტი. პარტიების მხარდამჭერების მოსაზრებების ანალიზმა შესაძლოა არასაკმარისი მონაცემების კომპენსირება მოახდინოს, რადგან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ევროსკეპტიკურად განწყობილი პარტიების მხარდამჭერები ნაკლები კეთილგანწყობით უყურებენ საქართველოს ევროკავშირისკენ სწრაფვას. გრაფიკი 1-ში წარმოდგენილია ექვსი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერთა პროცენტული განაწილება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან შემდეგ მოსაზრებას: „საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის სანაცვლოდ უარს იტყვის ევროკავშირსა და ნატოზე“.

გრაფიკი 1: პარტიის მხარდამჭერების შეხედულებები საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე უარის თქმის შესახებ.



წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2019). „კავკასიის ბარომეტრი“. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/RUBETEUN-by-PARTYSUPP/> (წვდომის თარიღი: 3 მაისი, 2020)

**შენიშვნა:** ცხრილში წარმოდგენილია პასუხების კროსტაბულაცია ორი კითხვის საფუძველზე: „რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?“ და „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის სანაცვლოდ უარს იტყვის ევროკავშირსა და ნატოზე.“

წარმოდგენილი მონაცემებზე დაყრდნობით, ორი კომენტარის გაკეთება არის შესაძლებელი. პირველი, პარტიის მხარდამჭერთა შეხედულებების მიხედვით იგივე დასკვის გამოტანა შეიძლება, რაც ზემოთ აღინიშნა. კერძოდ, ლეიბორისტული პარტიისგან განსხვავებით, პატრიოტთა ალიანსი ევროსკეპტიკურად განწყობილი ძალაა. რესპონდენტების

უმრავლესობა (54%), რომელიც აღნიშნავს, რომ ლეიბორისტული პარტია მათ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომი პარტიაა, არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველო ევროკავშირსა და ნატოზე უარის თქმით მეტ სარგებელს მიიღებს. მეორე მხრივ, პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერთა მხოლოდ 17% არ ეთანხმება იგივე წინადადებას. მეორე, პოპულისტური საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერთა პროცენტული განაწილება ემთხვევა არაპოპულისტური პარტიის - დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს მხარდამჭერების განაწილებას.<sup>16</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პოპულიზმი ავტომატურად არ ნიშნავს ევროსკეპტიციზმს და პირიქით, არც ევროსკეპტიციკური განწყობები გულისხმობს ყოველთვის პოპულიზმს.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკითხა შვიდი ექსპერტი ზემოხსენებული ექვსი პარტიის შესახებ.<sup>17</sup> შედეგები უკვე არსებულ მიგნებებს ემთხვევა, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარტიოტთა ალიანსი ევროსკეპტიკურად განწყობილი ძალაა, ხოლო ლეიბორისტული პარტია - არა (ექსპერტებისა და მათ პასუხების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1). ამასთან, ექსპერტთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ არსებობს კიდევ ერთი ევროსკეპტიკურად განწყობილი პარტია - დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოპულისტური პარტიების ქმედებები შეიძლება განსხვავდებოდეს სიტყვებისგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ევროკავშირს ეხება. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონტექსტში, პოპულიზმი და ევროსკეპტიციზმი ყოველთვის თანხვედრაში არ მოდის ერთმანეთთან. ამასთან, ევროსკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, რბილი და არა ხისტი ევროსკეპტიციზმით გამოირჩევიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სრულად არ უარყოფენ საქართველოს ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

ნაციონალისტი პოპულისტი აქტორები საზოგადოებრივ დონეზე პოპულისტურ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, გამოიკვეთა ორი პოპულისტი აქტორი საზოგადოებრივ დონეზე (ქართული მარში და ლევან ვასაძე), რომლებიც საქართველოს სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე მხარდამჭერების რეგულარული მობილიზებით ახდენენ გავლენას. ეს აქტორები, როგორც წესი, რეაქციულ ძალებს წარმოადგენენ და ხშირად ახდენენ დემონსტრაციების ორგანიზებას.<sup>18</sup> ორივე მათგანს შეიძლება, რომ ეწოდოს ნაციონალისტი პოპულისტი. ფორმალურად, აქამდე არც ერთ მათგანს მიუღია არჩევნებში მონაწილეობა.

<sup>16</sup> სილაგაძე, გ. 2020. "ვინ (არ) არის პოპულისტი საქართველოში? ფართოდ გავრცელებულ ტერმინში გარკვევა". ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/who-is-not-populist-in-georgia-making-sense-of-the-buzzword/> ნანახია: 7 მაისი, 2020.

<sup>17</sup> ექსპერტებს ვკითხეთ თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან შემდეგ მოსაზრებას წარმოდგენილ ექვს პოლიტიკურ პარტიაზე: (1) „პარტია სრულად უარყოფს ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტს და ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას“ და (2) „პარტია პრინციპულად არ ეწინააღმდეგება ევროპულ ინტეგრაციას ან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა პრობლემურად მიიჩნევს ერთ (ან მეტ) პოლიტიკის სფეროს და შესაბამისად, გამოსატყვევებლად წინააღმდეგობას ევროკავშირის მიმართ, ან მიაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესები ამ ეტაპზე არ არის თანხვედრაში ევროპულ მიმართულებასთან“.

<sup>18</sup> Civil.ge. 2019. "Police Detains 11 Radicals at the Film Opening". ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/325794> ნანახია: 12 მაისი, 2020.

შესაბამისად, ვერ მოხდება მათი ევროსკეპტიკურობის შეფასება იმავე მეთოდოლოგიით, რაც პოლიტიკური პარტიების კვლევისთვის გამოიყენება, რადგან მათ არ აქვთ ფორმალური პროგრამები და რთულია მათი საჯარო გამოსვლების ანალიზი. პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ამ აქტორების მიმართ არ არსებობს მედიის ან ამომრჩევლის მხრიდან მოთხოვნა, რომ ღიად გამოხატონ საკუთარი პოზიცია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხზე.

ქართული მარში და ლევან ვასაძე ხშირად მოიხსენიება, როგორც ანტი-დასავლური ძალა.<sup>19</sup> ამასთან, ქართული მარში ხშირად ავლელს პარალელს ქრისტიანული იდენტობის წინაშე მდგარ საფრთხესა და ევროპულ ინტეგრაციას შორის.<sup>20</sup> ვასაძე, რომელიც „ლიბერალიზმის“ კრიტიკით გამოირჩევა, ასევე ღიად აკრიტიკებს დასავლეთს.<sup>21</sup>

პარტიების მსგავსად, შვიდი ექსპერტი გამოიკითხა იმის გასარკვევად, შეიძლება თუ არა ქართულ მარშსა და ლევან ვასაძეს ევროსკეპტიკოსები ვუწოდოთ. ასევე, საინტერესოა რომელი ტიპი მიესადაგება მათ უკეთ - რბილი თუ ხისტი ევროსკეპტიციზმი (მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ დანართი 2). გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საზოგადოებრივი დონეზე არსებული პოპულისტური ძალების ორივე წარმომადგენელი ევროსკეპტიკოსია. შვიდიდან ექვსმა ექსპერტმა ქართულ მარშს ხისტი ევროსკეპტიციზმის ტიპი მიაკუთვნა.<sup>22</sup> რაც შეეხება ვასაძეს, ყველა ექსპერტი მიიჩნევს, რომ ის ხისტი ევროსკეპტიკოსის ტიპს განეკუთვნება.<sup>23</sup> აქედამ გამომდინარე და როგორც ეს უკვე სხვაგანაც აღინიშნა, ქართული მარში და ლევან ვასაძე არ არიან თანხვედრაში ევროპულ ლიბერალურ ღირებულებებთან.<sup>24</sup>

<sup>19</sup> Kintsurashvili, T. 2015. "Anti-Western Propaganda. Media Monitoring Report 2014-2015". ხელმისაწვდომია: <http://mdfgeorgia.ge/uploads/Antidasavluri-ENG-web.pdf> ნანახია: 7 მაისი, 2020.

<sup>20</sup> Gozalishvili, Nino. 2018. "'Europe is Awakening': Diffusion and Adaptation of National-Populism". (Doctoral Dissertation at Central European University).

<sup>21</sup> Pushaw, C. 2019. "Don't underestimate the threat of Georgia's 'knight in shining armour'". ხელმისაწვდომია: <https://www.neweurope.eu/article/dont-underestimate-the-threat-of-georgias-knight-in-shining-armor/> ნანახია: 7 მაისი, 2020.

<sup>22</sup> ექსპერტებს ვკითხეთ თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან შემდეგ მოსაზრებას: „ქართული მარში უარს აცხადებს ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტზე და ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას“.

<sup>23</sup> ექსპერტებს ვკითხეთ თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან შემდეგ მოსაზრებას: „ლევან ვასაძე უარს აცხადებს ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტზე და ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას“.

<sup>24</sup> The Foreign Policy Centre. 2018. "The rise of illiberal civil society in the former Soviet Union". ხელმისაწვდომია: <https://fpc.org.uk/wp-content/uploads/2018/07/The-rise-of-illiberal-civil-society-in-the-former-Soviet-Union.pdf> ნანახია: 20 მაისი, 2020.



## დასკვნა

საქართველოში პოპულიზმი, ამ ცნების მინიმალური გაგებით, არ უტოლდება ევროსკეპტიციზმს, რადგან არსებობს პოპულისტური პარტია, რომელსაც ევროსკეპტიკური განწყობები არ ახასიათებს (ლეიბორისტული პარტია). ამასთან, არც ევროსკეპტიციზმი გულისხმობს აუცილებლად პოპულიზმს, რადგან მოიძებნება ევროსკეპტიკურად განწყობილი პარტია, რომელიც არ არის პოპულისტური (დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო). თუმცა პოპულიზმის გარკვეული ვარიაცია - პოპულიზმისა და ნაციონალიზმის კომბინაცია - დაკავშირებულია ევროსკეპტიციზმთან. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში შესაძლებელია სამი ნაციონალისტური პოპულისტი აქტორის იდენტიფიცირება, რომელთა შორის ყველა მათგანი ევროსკეპტიკურადაა განწყობილი (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში და ლევან ვასაძე).

ნაციონალისტი პოპულისტები, რომლებიც საზოგადოებრივ დონეზე ოპერირებენ, შეიძლება დახასიათდნენ, როგორც ხისტი ევროსკეპტიკოსები, მაშინ, როდესაც ნაციონალისტური პოპულისტური პარტია უფრო მეტად რბილი ევროსკეპტიკოსის ტიპს მიეკუთვნება. ეს ნაწილობრივ შესაძლოა აიხსნას საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის პროევროპული განწყობებით. იმ აქტორებს, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობისა და თანამდებობების დაკავების სურვილი აქვთ, არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ უყურადღებოდ დატოვონ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის პროევროპული ორიენტაცია და ცალსახად უარყონ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე, რადგან ამან შესაძლოა მათი პოლიტიკური მარგინალიზაცია გამოიწვიოს.

ამასთან, ქვეყანაში პარტიული პროგრამები შესაძლოა პოლიტიკურ კონიუნქტურას დაექვემდებაროს, და შედეგად, პარტიის რეალური პოზიციონერობა პოლიტიკურ დისკურსში არ იყოს ფორმალურ დოკუმენტებში სათანადოდ ასახული.

## დანართი:

### დანართი 1

გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის აპრილში.

ექსპერტთა ჩამონათვალი:

- ✓ ფაკულტეტის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ წარმომადგენელი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო (CRRC-Georgia)
- ✓ ფაკულტეტის წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ ფაკულტეტის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ წარმომადგენელი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
- ✓ წარმომადგენელი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
- ✓ ფაკულტეტის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ცხრილი 1. ექსპერტთა გამოკითხვა პარტიების ევროსკეპტიციზმის შესახებ**

	რბილი ევროსკეპტიციზმი	ხისტი ევროსკეპტიციზმი
ქართული ოცნება	14.3%	14.3%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0%	0%
ევროპული საქართველო	0%	0%
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	71.5%	28.5%
ლეიბორისტული პარტია	28.5%	0%
დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	71.5%	28.5%

**შენიშვნა:** ექსპერტებს მიეწოდათ რბილი და ხისტი ევროსკეპტიციზმის განმარტება, რომლის მიხედვითაც შეაფასეს პარტიები. რიცხვები აღნიშნავს ექსპერტთა პროცენტს.

დანართი 2

**ცხრილი 2.** ექსპერტთა გამოკითხვა ორი აქტორის ევროსკეპტიციზმის შესახებ

	<b>რბილი ევროსკეპტიკოსი</b>	<b>ხისტი ევროსკეპტიკოსი</b>
ქართული მარში	28.5%	85.7%
ლევან ვასაძე	28.5%	100%

**შენიშვნა:** ექსპერტებს მიეწოდათ რბილი და ხისტი ევროსკეპტიციზმის განმარტება, რომლის მიხედვითან შეაფასეს აქტორები. რიცხვები აღნიშნავს ექსპერტთა პროცენტს.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment  
for Democracy**  
*Supporting freedom around the world*

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

გივი სილაგაძე, „არის თუ არა პოპულიზმი ევროსკეპტიკური საქართველოში“, პოლიტიკის ნარკვევი #36, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)